პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | სამშაბათი, 22 დეკემბერი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

291 (989) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## საჭიროა აგრეთვე სამხედრო სწავლების გაშუქება

წვევამდელები ენერგიულად შედგენ ჩვენს გაზეთში თანამშრომლობას. რედაქციაში ყოველდღიურად მოდის წვევამდელთა წერილების საკმაო რაოდენობა. ამ მოვლენას ჩვენ დიდის სიხარულით აღვნიშნავთ. ჩვენმა წვევამდელებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ თავისი კავშირი „წითელ არმიელთან“ და უნდა ეცადონ ერთი წუთითაც არ შეასუსტონ ის.

მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი, რომელიც თან ახლავს წვევამდელების „კორესპონდენციებს. ეს—**სამხედრო სწავლების გაუშუქებლობა.** თავის წერილებში წვევამდელები უმთავრესად სწერენ ლენკუთხეების და წერტების მოწყობის შესახებ, პოლიტმეცადინეობაზე, კრებებზე და სხვა. მაგრამ ისინი ერთი სიტყვითაც არ მოიხსენიებენ სამხედრო სწავლების მსვლელობას წერტებზე. ამავე დროს კი სამხედრო მეცადინეობა—ეს მთავარი დარგია წვევამდე მომზადებისა. წერტებზე ჩვენმა წვევამდელებმა პირველ ყოვლისა უნდა გაეცნონ სამხედრო საქმეს, შეიძინონ სამხედრო ცოდნა. ცხადია სამხედრო საქმესთან მათ პოლიტიკური მეცადინეობაც უნდა აწარმოონ, კულტურული მუშაობა და სხვა.

ამიტომაც ჩვენ წვევამდელებს პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობის გაშუქებასთან ერთად მართებთ, აგრეთვე შინაარსიანად და ფართოდ გააშუქონ ის, თუ როგორ ეტანებიან ისინი სამხედრო სწავლას როგორ ითვისებენ სამხედრო საქმეს, რა მიღწევები აქვთ ამ მხრით, რა ნაკლი და სხვა.

ის ვინც წვევამდე მზადების დროს გულმოდგინეთ აწარმოებს სამხედრო მეცადინეობას, წითელ ჯარში მოსვლისას ადვილათ გაივლის სამხედრო მომზადების ყველა საფეხურებს.

ამ წერილით ჩვენ არ გვინდა ის ვსთქვათ, რომ წვევამდელმა ნაკლებად უნდა მოიწეროს თავის პოლიტიკურ-კულტურულ მუშაობაზე, კრებებზე, ყოფა ცხოვრებაზე და სხვა სრულიადაც არა. პირიქით წვევამდელმა წინანდელად და კიდევ უფრო სისტემატიურად უნდა გააშუქოს ყველა ეს საკითხები, მაგრამ მათთან ერთად ასეთივე ხშირად და სისტემატიურად უნდა მოიწეროს თუ როგორ მიდის სამხედრო სწავლება წერტებზე.

სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი წვევამდელები-სამკორები ამ ნაკლს გამოასწორებენ და ბლომად მოგვაწვდიან წერილებს სამხედრო სწავლების მდგომარეობის შესახებ წერტებზე.

## თეთრი ტერორისა და ძალადობის ქვეყანაში.

ამ უკანასკნელ ხანებში მდგომარეობა პოლონეთში მეტის მეტად გამწვავდა. ახლად არჩეული მთავრობა უძლურია რამოდენიმეთ მაინც შეაჩეროს შექმნილი მწვავე ეკონომიური კრიზისი. დღითი დღე ეცემა პოლონეთის ფული (ზლოტი). ძლიერ შემცირდა წარმოება, რაც იწვევს უმუშევართა რიცხვის ზრდას. დაეცა ვაჭრობაც, ვინაიდან მუშას არაფერი არ აქვს რომ იყიდოს საქონელი, არც გლეხია უკეთეს მდგომარეობაში. ცხადია ყოველივე ეს—აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა ერთის მხრივ, უსაზღვრო პოლიტიკური დევნა მეორე მხრივ აიძულებენ მუშებს მასიურ საპროტესტო დემონსტრაციებისაკენ ბურჟუაზიულ ხელისუფლების წინააღმდეგ.

უმუშევარ მუშების დემონსტრაციებს კი პოლონეთის მთავრობა პოლიციელების მათრახებით და მხრჩოლავი გაზებით უმასპინძლდება. დღე არ გავა ისე, რომ რადიომ არ მოგვიტანოს ახალი ცნობა, პოლონეთის მთავრობის მიერ უმუშევართა მანიფესტაციების მხეცური დარბევის შესახებ. ასე მაგალითად ქ. ზავერნაში მოხდა ათიათასი უმუშევარის დემონსტრაცია, რომლებმაც დაიკავეს ქალაქის თვითმმართველობა და მოითხოვეს დახმარება ფულით. ადგილობრივ ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ გამოუშვა ჯერ ცხენოსანი პოლიცია, შემდეგ კი მხრჩოლავი გაზებით შეიარაღებული პოლიციელები, რომლებიც ხშამიან აირებით დატენილ გრანატებს ესროდენ უიარაღო მუშებს.

პურის მაგიერ პოლონეთის მთავრობა ტყვიით კვებავს მშრომელ ხალხს. და ამაში მას ენერგიულ დახმარებას უწევენ პოლონეთის გამყიდველი სოციალისტები. აი მაგალითად: ზემოსილეზიიდან მოვიდა იქაური უმუშევრების დელეგაცია, რათა ეთხოვნათ პოლონეთის სოციალისტებისათვის ზომების მიღების შესახებ უმუშევრობის წინააღმდეგ. დელეგაცია არ მიიღო არც ერთმა სოციალისტურმა ორგანიზაციამ და არც შრომის მინისტრმა სოციალისტ-ზიმინეცკიმ. აი ასე უტიფრად, ასე უსინდისოთ ყიდიან მუშათა კლასის ინტერესებს პოლონეთის სოციალ-შემთანხმებლები.

პოლონეთის ბურჟუაზია შექმნილ მდგომარეობიდან აპირებს გამოსვლას ტერორისა და მუშებისათვის ყველა უფლების წართმევის საშუალებით. მაგრამ ეს გზა მას კარგ შედეგამდე არ მიიყვანს. მიუხედავათ სასტიკი დევნისა და წამებისა მთავრობის მხრივ, უმუშევართა და საზოგადოთ მუშათა მოძრაობა ოდნავ არ სცხრება და დღითი დღე მატულობს. ცხადია მუშათა მოძრაობის გაცხოველებასთან იზრდება კომპარტიის გავლენაც პროლეტარიატის და გლეხობის შორის, ფართოდ იკიდებს ფეხს კომუნისტური აგიტაცია.

დღევანდელი რადიო გადმოგვცემს, რომ კომუნისტური აგიტაცია სწარმოებს აგრეთვე დიდის წარმატებით პოლონეთის ჯარში. ეს კი კარგი ნიშანია მუშათა კლასის გამარჯვებისათვის პოლონეთში.

და ეს მომენტიც არც ისე შორს არის.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## საბჭოთა საწინააღმდეგო კამპანია ამერიკაში.

ყოველთვის, როცა კი დადგება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საკითხი, ამერიკის გაზეთები ასტეხენ ყაყანს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი ავრცელებენ ჭორებს და სცდილობენ დაამტკიცონ რომ ამერიკა-საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობის საქმე ცუდად მიდის. საბჭოთა კავშირის ცნობის მოწინააღმდეგეებს არ აქვთ საშუალება უარყონ საბჭოთა მორიგებების ზრდა ამერიკაში და ყოველმხრივ სცდილობენ ხელი შეუშალონ ამ გარიგებებს. ისინი ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირს არ აქვს საშუალება აასრულოს ვალდებულებებიო.

საბჭოთა საწინააღმდეგო კამპანიას განსაკუთრებული გაძლიერებით აწარმოებს ვაჭრობის სამინისტრო, რომელიც აშკარად სცდილობს ხელი შეუშალოს ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობას.

ამერიკის ვაჭრობის საზოგადოებამ ამ კამპანიის საპასუხოდ გამოაქვეყნა ცნობები, რომლებითაც ის ამტკიცებს საბჭოთა გარიგების თანდათანობით ზრდას ამერიკაში.

## მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.

— შეერთებული შტატებისა (ამერიკის) და კანადის მკერავთა კავშირის მუშათა ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.

— ჩეხო-სლოვაკიის მთავრობაში მივიდა ქარხნის მუშათა დელეგაცია —100 კაცისაგან შემდგარი. დელეგაციამ ინახულა კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციები და გადასცა მათ მუშების მოთხოვნილება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

## უმუშევართა დემონსტრაციები პოლონეთში.

### კომუნისტური აგიტაცია ჯარში.

მიუხედავად პოლიციის სასტიკი ზომებისა ვარშავში გრძელდება უმუშევართა დემონსტრაციები.

გაზ. „კურიერ ვარშავსკი“-ს ცნობით უკანასკნელ დროს ვილნოს გარნიზონში სწარმოებს ვაძლიერებული კომუნისტური აგიტაცია. მე-3 არტილერიის ლეგიონის ყაზარმებში აღმოჩენილ იქნა 40 კომუნისტური მოწოდება. დაპატიმრებულია რამოდენიმე პირი, რომლებიც ავრცელებდენ ფურცლებს ყაზარმებში.

## სსრკ-ს მიწვევა განიარაღების კონფერენციის მომწყობ ერთა ლიგის კომისიაში.

ერთა ლიგის საბჭომ გამოუგზავნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს წერილი მიიღოს მონაწილეობა განიარაღების კონფერენციის მომზადების მუშაობაში.

წერილში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობას ამ საქმეში ერთა ლიგა დიდ მნიშვნელობას აძლევს. ერთა ლიგის არა წევრ სახელმწიფოებიდან საბჭოთა კავშირს გარდა მოწვეულია გერმანია, ბულგარეთი, შეერთებული შტატები, ფინეთი, ჰოლანდია, პოლონეთი, რუმინეთი და სამხრეთ-სლავია.

## აურზაური ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში

ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე დიდი აურზაური მოხდა. როცა პრემიერ შვერლი სიტყვით გამოვიდა, ოპოზიციის სკამებზე ატყდა ხმაურობა, რომელიც ბოლოს თითქმის ხელჩართულ ჩხუბზე გადავიდა.

შვერლის შუა სიტყვაში სლოვაკებმა და გერმანელებმა იმღერს თავიანთ ჰიმნი. კომუნისტები გაიძახოდენ „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! თქვენ მოიპარეთ ჩვენი ხმები!“ კარპატიის რუსების სკამებიდან ისმოდა ხმები: „ჩვენში არჩევნები ჩატარდა ჟანდარმების მათრახების ქვეშ“.

მთავრობის განცხადების საპასუხოდ ილაპარაკა კომუნისტ შმერალმა, რომელმაც ბოლოს მოუწოდა მშრომელებს იბრძოლონ ჩეხო-სლოვაკიის ბურჟუაზიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ. შმერალის სიტყვის დამთავრების შემდეგ კომუნისტებმა იმღერეს „ინტერნაციონალი“.

## „ბოლშევიკური გემი“

ინგლისის კრეისერი „ვინდიკეტივი“ გაგზავნილ იქნება ინგლისიდან უცხოეთის წყლებზე როგორც „ბოლშევიკური გემი“.

„ვესტმინსტერ გაზეტტ“-ის ცნობით ინგლისის ფლოტის ყველა მთავარი საზღვაო წერტები გავსებულია კომუნისტური ლიტერატურით.

## ბულგარეთის კომუნისტების საქმე ხელმეორედ გასამართლება.

21 დეკემბერს სოფიის სასამართლოში ხელმეორედ იწყება დმიტროვის, კოლაროვის, კაბაკჩიევისა და ბულგარეთის კომპარტიის დანარჩენ წევრების საქმე, რომლებსაც აჯანყების მოწყობისთვის მისჯილი ჰქონდათ ხანგრძლივი ციხე.

## კუიბიშევას გარდაცვალება.

გარდაიცვალა რკპ-ს ცეკას ქალთა განყოფილების გამოჩენილი მოღვაწე ქალი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის და.

## ახალი გამოგონება.

ინჟენერ შტეინცვიგმა გამოიგონა ახალი ხელსაწყო ყრუთათვის. ის მუშაობს ელექტრონის საშუალებით. ხელსაწყოს გამოცდამ საუცხოვო შედეგი მოიტანა. ხმები სრულიად დაყრუებულსაც კარგად ესმის.

## განაჩენის შეცვლა მურაშკოს საქმეზე.

ვილნოს სასამართლომ გასაჩივრებით შესცვალა განაჩენი ბაგინსკისა და ვეჩორკევიჩის (პოლონეთის რევოლიუციონერი სამხედრო პირები, რომლებიც გასულ წელს მოკლულ იქნენ საბჭოთა კავშირთან პატიმრების გადაცვლის დროს) მკვლელის მურაშკოს საქმეზე და გადასცა ის სასამართლოს ხელახლა გასარჩევად. მურაშკოს საქმე დაიწყება ვილნოში 12 თებერვალს.

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ (Ბ) ᲛᲔ-XIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

### ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ.

18 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა რკპ (ბ)-ს მე-XIV ყრილობა. მისალმების შემდეგ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა დაახასიათა საბჭოთა კავშირის ეკონომიური და საერთაშორისო მდგომარეობა და აღნიშნა ის სიძნელენი, რომელიც დასძლია საბჭოთა კავშირმა თავისი აღმშენებლობის გზაზე.

## ᲐᲛᲮ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲪᲔᲙᲐᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

შემდეგ ცეკას პოლიტიკური ანგარიშის შესახებ მოხსენება გააკეთა რკპ (ბ)-ს ცეკას მდივანმა სტალინმა, რომლის გამოსვლას მხურვალე ტაშით შეხვდენ. მოხსენების პირველ ნა-



ამხ. სტალინი

წილში მოხსენებელი შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას, მეორეში შინაურ მდგომარეობასა და ცეკას პოლიტიკას.

**ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.**

**ავადმყოფობანი ღრღნიან კაპიტალიზმის სხეულს**

საერთაშორისო მდგომარეობაში თავიდათავი ისაა, რომ ჩვენს კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ჩამოვარდა ერთგვარი ძალთა დროებითი წონასწორობა.

მტრები კიდევ არ არიან იმდენად ძლიერი, რომ დაგვამარცხონ ჩვენ, და ჩვენც ვერა ვართ იმდენად ძლიერი, რომ დახმარება გაუწიოთ დასავლეთ-ევროპის მუშებს.

არსებობს კაპიტალისტური რეჟიმის შინაური სისუსტე და წინააღმდეგობათა ხუთი ჯგუფი: პირველი—კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის; მეორე—იმპერიალისტურ ქვეყნებსა და კოლონიალურ და დამოუკიდებელ ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის; მესამე—ომში გამარჯვებულ და დამარცხებულ სახელმწიფოებს შორის; მეოთხე—თვით გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის; მეხუთე—საბჭოთა ქვეყანასა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ეს შინაური წინააღმდეგობანი ღრღნიან კაპიტალიზმს, ხოლო ჩვენ გვაძლევენ საშუალებას ვაშენოთ სოციალიზმი.

**კაპიტალიზმის სტაბილიზაცია**

ევროპა დამონავებული ჰყავს ამერიკას. ზღაპრულად იზრდება მშრომელთა გადასახადები. კაპიტალიზმის სტაბილიზაცია მერყევი და ძირმომპალია.

**აღმოსავლეთი ამტვრევს ბორკილებს**

კოლონიალურ ქვეყნებში იზრდება მრეწველობა, პროლეტარიატის ძალა და რევოლიუციონური მოძრაობა. შეტაკება აშკარა ომამდი მიდის. მაგალითები: სირია, მაროკო, ჩინეთი. კოლონიებში დღის წესრიგში სდგას იმპერიალისტების განდევნა.

**წინ ომის საფრთხეა**

ვერსალის ზავმა გაჰყო იმპერიალისტური ქვეყნები ორ ბანაკად. ერთშია დამარცხებული ქვეყნები (გერმანია, ავსტრია), მეორეში გამარჯვებული—ანტანტა და ამერიკა.

დაუესის გეგმა, რომელმაც დაიმონავა გერმანიის მეურნეობა, აუცილებლად გამოიწვევს რევოლიუციას გერმანიაში. ლოკარნო მოასწავებს არა მშვიდობიანობას, არამედ ძალთა განაწილების გეგმას ახალი ომისთვის. ამერიკასა და ინგლისს შორის გამართულია ბრძოლა ნავთის გარშემო. გაცხარებით იზრდება შეიარაღება, ავიაციისა და საზღვაო ფლოტის. მეგობრები, ხოლო სინამდვილეში კი—მტრები იარაღდებიან ერთი მეორის წინააღმდეგ და არ ზოგავენ სახალხო სახსარს. ჩვენ საქმე გვაქვს არა მეგობრულ, არამედ შეიარაღებულ ზავთან.

ბუარებელ მუშათა დელეგაციების მოსვლას ჩვენში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან დასავლეთ-ევროპის მუშები ისე უყურებენ ჩვენს კავშირს, როგორც თავის შვილს და პასუხისმგებლობას ღებულობენ ჩვენი მოქმედებისთვის მთელი ქვეყნის პროლეტარიატის წინაშე.

ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა მუშების გარეშე შეუძლებელია და არც მოხდება თუ ამას მუშები არ ისურვებენ. კაპიტალის სამეფოს გამოეთიშა დედამიწის მეექვსედი—რუსეთი და ამ გამოთიშვის სიმწვავის შესანელებლად კაპიტალიზმი იძულებულია დაუახლოვდეს საბჭოთა კავშირსს. აქედან იწყება საბჭოთა კავშირის ცნობათა მთელი წყება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კაპიტალისტებს დავიწყებოდეს მეფის ვალები და რუსეთში დაკარგული ქონება.

ჩვენ გვაბრალებენ პროპაგანდას კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

თვით ბურჟუაზია ჩინელების დახვრეტით ამზადებს რევოლიუციას აღმოსავლეთში.

კომინტერნი შეთქმულებას არ აწყობს. ის ამზადებს მასიურ რევოლიუციონურ მოძრაობას.

**ჩვენი საგარეო ამოცანები.**

საჭიროა ბრძოლის წარმოება დასავლეთის კომუნისტურ პარტიებისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის გაძლიერებისად; საბჭოთა ქვეყნების პროლეტარიატისა და დაჩაგრულ ერებს შორის კავშირის განმტკიცება; ბრძოლა სოციალიზმის განვითარებისა და მისი გამარჯვებისთვის მეურნეობის კაპიტალისტურ ნაშთებზე ჩვენს ქვეყანაში.

საჭიროა ენერგიული ბრძოლა მშვიდობიანობისთვის, ახალი ომების შესაძლებლობის წინააღმდეგ; ჩვენი საქონლის ტრიალის გაფართოება კაპიტალისტურ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის გაძლიერებით; საჭიროა დაახლოების პოლიტიკის წარმოება კაპიტალისტურ ქვეყნებთან, რომლებიც მტრულ განწყობილებაში იმყოფებიან გაბატონებულ სახელმწიფოებთან.

№ 1000

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ! ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ:
ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ, ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ.

№ 1000

№ 1000

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ" ᲛᲝᲒᲘᲬᲝᲓᲔᲑᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ,
ᲜᲣ ᲛᲝᲐᲙᲚᲔᲑᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ,
ᲨᲕᲔᲚᲐᲡ

№ 1000

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

### ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ—ᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ.

**რა გავლენას ახდენს ამინდი სროლის სიმარჯვეზე.**

მარჯვე სროლის ხელის შემშლელი მიზეზები, რომელიც თვით შაშხანაზეა დამოკიდებული, უკვე ავხსენით წინა წერილში. იქვე აღნიშნული გვქონდა მთელი რიგი მიზეზები, რომლებიც გავლენას ახდენენ ტყვიის მიმართულებაზე. ამ წერილში საჭიროა ავხსნათ დანარჩენ მიზეზების თავისებურობა, ვინაიდან თუ კარგად არ ეცოდინება მეომარს ეს მიზეზები, ისე ვერ შესძლებს მარჯვე სროლის შესწავლას.

ეს მიზეზებია შემდეგი:

**ამინდი.** ამინდის სახით უნდა ვიგულისხმოთ ჰაერის მდგომარეობა. ყინვა, წვიმა, სხვა და სხვა გვარი ნოტიო და პირქარი აძლიერებს ჰაერის წინააღმდეგობას და ამიტომ ასუსტებს ტყვიის მოხვედრის სიშორეს, ე. ი. ასეთ შემთხვევებში ტყვია ვერ აღწევს მიზნამდი. პირიქით, სიცხე, მშრალი და მთის (თხელი) ჰაერი აგრეთვე ტყვიის თანამგზავრი ქარი აძლიერებს ტყვიის მოხვედრის სიშორეს. რასაკვირველია, ახლო მანძილზე ეს გავლენა უმნიშვნელოა, მაგრამ დაწყებული 800 მეტრის მანძილიდან და ზევით ეს გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია და არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ მას. ამას გარდა გვერდის ქარი, რა სუსტიც არ უნდა იყოს ის, გადაჰხრის ტყვიის მიმართულებას განზე, ე. ი. იქეთ, საითაც ის ჰქრის, ხოლო ძლიერი ქარი ბევრ შემთხვევაში არხევს ლულას და adიდებს ტყვიების დაფანტულობას.

მზე, რომელიც ანათებს ნიშანს და კორას ჰრილს, არ აძლევს მსროლელს საშუალებას გაარკვიოს, სადაა ნიშნის ნამდვილი წვერო და კორას ჰრილი; ამის გამო მსროლელი უშვებს პატარა შეცდომას დამიზნებაში, რომელიც ბევრ შემთხვევაში გამოიხატება იმაში, რომ ტყვია წავა იმ მხრისკენ, საიდანაც არაა განათებული მზით შაშხანის ნაწილები.

ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მსროლელმა ყალბად აიღო ნიშანი, რასაც ხელი შეუწყო ძლიერმა განათებამ. ნისლი, მტვერი, კვამლი, სროლა ბინდისას ან დილით ადრე ხელს უშლის ნათლად დაინახო მიზანი, აძნელებს დამიზნებას და ცხადია მარჯვე სროლასაც.

მსროლელს უნდა შეეძლოს ყველა ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამოსწორება: უნდა იცოდეს რამოდენად უნდა ასწიოს ან დასწიოს კორა ან დამიზნების წერტილი თანამგზავრ და პირქარის დროს; როგორ მოიქცეს სიცხეში, სიცივეში (ყინვაში) და წვიმაში სროლის დროს. როცა მზე ძალზე ანათებს შაშხანის ნაწილებს (უმთავრესად ნიშანს და კორას ჰრილს). უნდა გააშავო (კამჭვარტლით თუნდაც ასანთით) ნიშანი და კორას ჰრილი ან უნდა მოაფარო მზის შუქს თუნდაც ვაზნეების მჰიდეთი. ნისლში, მტვერში და კვამლში სროლის დროს საფუძვლიანად უნდა გაუხედო მიზანს და კარგად, გულდასმით გაუმიზნო. უმთავრესად მარჯვე სროლის ხელის შემშლელ მიზეზების თავიდან აშორება შეიძლება ხშირი ვარჯიშით სროლაში საბრძოლო ვაზნებით, ყოველგვარ ამინდის დროს.

ეს მისცემს მსროლელს გამოცდილებას როგორ ისროლოს ამა თუ იმ შემთხვევაში. ამიტომ მომავალ სროლისთვის აბრძოლო ვაზნებით თვითეული მეომარი კარგად უნდა მოემზადოს მიზნების მოძებნაში, სამიზნო წერტილის ამორჩევაში და კარგად გამიზნებაში, როგორც დაზგიდან, ისე ხელით.

ი. ბ.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲘᲛᲘᲐ.

**აირების ხმარება ბრძოლაში.**

მომავალი ომებში ქიმიური შხამიანი ნივთიერებანი (აირები) ფართედ იქნება ხმარებული. ეს დაგვიმტკიცა ჩვენ წარსულ მსოფლიო ომმა. რომ შევსძლოთ ბრძოლა ამ ბოროტების წინააღმდეგ, უნდა ვიცოდეთ როგორ იხმარება აირი ბრძოლაში და როგორ უნდა დაიცვა თავი მისგან.

აირის საშუალებით ბრძოლა მდგომარეობს იმაში, რომ შხამიანი ნივთიერებანი სითხის ან აირების სახით გაიშვებიან მტრის მიერ დაკავებულ ადგილებში. გაშვებული აირები მოიცავენ ყველა იმ ადგილებს, სადაც კი შეუძლია შესვლა ჰაერს. აი რატომაა, რომ სანგრებსა და სხვა საფარს, რომლებიც კარგად იცავენ მეომრებს ტყვიისა და ყუმბარებისაგან, არ შეუძლიათ დაიფარონ ისინი აირებისაგან. აირის ასეთმა თვისებამ აიძულა გერმანელები ეხმარათ ის მტრის გამაგრებული პოზიციების წინააღმდეგ.

უკვე მსოფლიო ომის ბოლოს აირებს ხმარობდა ორივე მოპირდაპირე სხვა და სხვა საშუალებით. ამა თუ იმ საშუალების ამორჩევა ბევრი მიზეზისგანაა დამოკიდებული. პირველ ყოვლისა ის დამოკიდებულია იმ ამოცანაზე, რომელიც ეძლევა ჯარებს, შემდეგ ამინდზე, ადგილ-მდებარეობაზე, ჯარების მოთავსებაზე, საშუალებებზე და სხვა.

თვითეულ ამ საშუალების მიზანია მოსწამლოს ჰაერი და ამით გაანადგუროს ყველაფერი ცოცხალი, რაც კი იმყოფება მოშხამულ რაიონში. ცხადია, რომ აირის რაიონში მყოფ მეომართა წინააღმდეგობა თანდათან სუსტდება, ხოლო თუ მათ არ იციან აირებისაგან თავდაცვა, ბრძოლასაც ვეღარ გააგრძელებენ. მაშასადამე ასეთი მეომრები დაიღუპებიან.

არსებობს აირების ხმარების შემდეგი საშუალებანი: 1) აირის ტალღები, 2) სროლა ქიმიური ჭურვებით, 3) აირტყორცნა, 4) ბრძოლის ქიმიური საშუალება ავიაციის დახმარებით (ბომბები, ქიმიური წვიმა), 5) თოფით და ხელით სატყორცნი ქიმიური გრანატები.

ბრძოლის ქიმიურ საშუალებას ეკთვნიან კიდევ კვამლის ფარდები და ცეცხლმტყორცნები.

ვ.

# ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘ 1902 ᲓᲐ 1903 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

ცხრაას ორ წელში ქუთაისის პარტიული ორგანიზაციები ზრდის პროცესში იმყოფებოდენ. მასში თავს იყრიდენ ქარგლები, შეგირდები, ნოქრები და სხვა დარგის მოსამსახურეები. მაგრამ მათი რიცხვი საკმაო ძალას მაინც არ წარმოადგენდა ქალაქში დემონსტრაციის მოსახდენათ. ამიტომ მაშინდელმა ფარულმა კომიტეტმა დაადგინა, რომ პირველი მაისის დღეობა გადახდილ იქნას ქალაქ გარეთ. მე ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო არ შემეძლო აღნიშნულ დღესასწაულზე დასწრება. მხოლოთ თუ მეხსიერებამ არ მიმტყუნა ალვნიშნავ იქ მყოფ ამხანაგების გადმოცემულს. ორგანიზაციას დღესასწაულის ჩასატარებელ ადგილად ამოერჩია ქუთაისიდან ოთხი ვერსის მოშორებით, მოწამეთაში მიმავალ რკინის გზის ახლო მდებარე ტყის გადაღმ პატარა მინდორი. იქ თავი მოეყარა ორმოცამდე ამხანაგებს, მათ შორის იყო ბარონ ბიბინეიშვილი—დღესასწაულის ორგანიზატორი და მოწყობი, ირეთელი, ს. ჩირაძე, ყენია, რევია, ჭაჭიაშვილი, კვინიხიძე, ს. ბექაია და სხვები.

პატარა ლამაზ მოლიან მინდორზედ გაეშალათ სუფრა. ზედ დაეწყოთ სხვა და სხვა საუზმეულობა. სუფრის ერთ თავში გაეშალათ წითელი დროშა და თითქოს ქეიფს შეექცეოდენ. ამ გაწყობილ სუფრის ირგვლივ გაეშუქებიათ პირველი მაისის დღესასწაულის მნიშვნელობა. დღესასწაულს დაესწრო მუშების მეტი წილი და ისიც ორგანიზაციის აქტივი. იქ მყოფი ამხანაგები დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდენ დღესასწაულის ჩატარებით, მაგრამ ძალიან სწუხდენ იმაზე, რომ გამოჩენილად ქალაქში ვერ გამართეს პირველი მაისის დემონსტრაცია.

სულ სხვა სურათს ვხედავთ 1903 წელში. 1903 წლიდან ქალაქის ორგანიზაციების საშვალებით ორგანიზაციები იწყობა საზოგადოებებში ე. ი. თემებში და სოფლებში, სადაც უმთავრესათ ახალგაზრდები შემოდიან და კავშირს აბამენ ქალაქთან. კვირა-უქმე დღეებში ქალაქიდან პროპაგანდისტები მოდიან ადგილებზე და ხელმძღვანელობენ სასოფლო ფარულ ორგანიზაციებს. ეს ორგანიზაციები დღითიდღე იზრდებიან თავის ირგვლივ, თავს უყრიან რევოლიუციონურ ელემენტებს, მოწაფეებში სასულიერო სემინარიაში, ფერმის სკოლაში და საქალაქო სასწავლებლებში. განსაკუთრებით პირველ ორ სასწავლებელში საუკეთესო ორგანიზაციები იყო, სხვა სკოლების მოწაფეების ხელმძღვანელებათ დასახელებული სკოლები გამოდიოდენ და მეთაურობდენ. მაგრამ მიუხედავათ ასეთი ორგანიზაციებისა არსებობისა, ქუთაისის კომიტეტმა მაინც არ გადაწყვიტა პირველ მაისისათვის დემონსტრაციის გამართვა. ხოლო 1 მაისის წინ ღამით გოჭოურას მთაზე მოეწყო მიტინგი, სადაც დაესწრო დაახლოვებით ორასზედ მეტი ამხანაგი. მიტინგმა გასტანა ორ საათზე მეტს. ორატორები ყველა დამსწრეებისათვის უცნობები იყვნენ და ვინც ვიცნობდით ჩვენ უფლება არ გვქონდა დაგვესახელებია და გვეთქვა მიტინგის წევრისათვის ორატორის ვინაობა. ვინაიდან ამას მოითხოვდა პარტიის საიდუმლოება. საზოგადოთ მიტინგის დანიშნულება იყო პირველი მაისის დღესასწაულის მნიშვნელობის გაშუქება. მაგრამ ორატორებმა ისარგებლეს ხალხის თავის მოყრით და შეეხენ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებსაც, სადაც არკვევდენ მუშათა კლასის დამოკიდებულებას ბურჟუაზიასთან და უკანასკნელის კავშირს თვითმპყრობელობასთან. ასე იზრდებოდენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, როგორც ქალაქში, ისე სოფლებშიდაც.

ს. ლომიძე.

(გაგრძელება იქნება)

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

## ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

მე-4 ლეგ. 9-რე ასეული.

დეკემბრის პირველ რიცხვებში მოწვეული იქნა ასეულის კომუჯრედის ღია კრება, რომელზედაც უნდა გარჩეულიყო შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება კოოპერაციის შესახებ, 2. დელეგატების არჩევნები საბჭოებში და საშეფო კომისიის არჩევა.

კოოპერაციის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სომხურ ენაზე ამხ. ოგაჯანოვი, თანამოხსენებლად კი მაღალთაძე ქართულ ენაზე. მოხსენებები საყურადღებო იყო ძლიერ. გაშუქებული იქნა თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მუშებისა და გლეხებისათვის და როგორ უნდა ვეცადოთ, გავაძლიეროთ ხალხში მისადმი მიდრეკილება. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ მთელი თავისი ენერგიით შეეცდებიან მეცამეტე პარტყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

შემდეგ კრებას გაეცნო აგრეთვე არჩევნების წესი საბჭოებში და მათი მნიშვნელობა. დასასრულ კრებამ აირჩია აგრეთვე საშეფო კომისია.

სამხკორი ვ. კალამკაროვი.

## ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲓᲔᲡ.

5-თე ლეგსკოლის უჯრედი.

ეხლახან დაიწყო მუშაობა მეორე უჯრედმა. პარტიის წევრები და კანდიდატი ახალწვეულები შემოიკრიბენ უჯრედის გარშემო და ამოქმედდენ.

შემუშავებული იქნა დეკემბრის თვის განმავლობაში სამუშაო გეგმა, რომელშიდაც მთავარი ყურადღება მიექცა შემდეგ საკითხებს: 1) ახალწვეულებში ორგანიზაციული მუშაობის განმტკიცებასა და უპარტიო არმიელებთან მტკიცე კავშირის დაჭერას. 2) ლენკუთხეში და კლუბში კულტურულ მუშაობის გაცხოველებას, 3) ახკომკავშირის უჯრედებზე ხელმძღვანელობის საკითხს, 4) პიონერთა ორგანიზაციაზე შეფობის გაძლიერებას და 5) სოფლის კომუჯრედებთან კავშირის დაჭერას.

ყველა ჩამოთვლილი საკითხების პრაქტიკულად მოგვარებას უკვე შეუდგა უჯრედი.

უჯრედმა შეფობის ქვეშ აიყვანა ამხ. ტროცკის სახელობის კოლექტივი და გადასცა სათანადო შენობა ბიუროსათვის.

სოფლის უჯრედებთან დაკავშირების მიზნით გამოყოფილი იქნენ სათანადოთ მომზადებული ამხანაგები სოფლის უჯრედზე მისამაგრებლად.

აღსანიშნავია მხოლოდ ერთი ნაკლი უჯრედის ცხოვრებაში: პარტიის წევრები ძლიერ ცოტანი არიან, სამაგიეროდ ბლომად გვყავს კანდიდატები. მაგრამ კრებაზე როგორც ვიცით მათ არა აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება. ხშირად ხდება, რომ დააკლდება პარტიის ზოგიერთი წევრი კრებას და ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელი ხდება ამის გამო.

საჭიროა დააჩქარონ უჯრედის წევრ ღირსეულ კანდიდატების პარტიის წევრად გადარიცხვა, რომ ბოლო მოეღოს მსგავს მოვლენებს. ჩვენს უჯრედში კი ღირსეული კანდიდატები ბევრი არიან.

პარტკორი მ. ჭყონია.

## ᲬᲕᲔᲕᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲛᲝᲕᲔᲬᲧᲕᲔᲗ.

კავთისხევის წერტი.

ჩვენს წერტზედაც პირველ დეკემბერს დაიწყო 1904 წელში დაბადებულთა სამხედრო მზადება. მუშაობაში დიდ ენერგიას იჩენენ ჩვენი წერტის მეთაურები. პირველ ხანებში ჩვენ წერტს არა ჰქონდა სამეცადინო ადგილი. მოგვცეს ნება მეცადინეობა გვეწარმოებია ადგ. კლუბში, მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ აქ აღარ შეგვიშვეს. დიდ გაჭირვებით და დაუღალავი მუშაობით ჩვენმა მეთაურებმა შესძლეს ბინის შოვნა და მეცადინეობა ჩადგა ნორმალურ კალაპოტში.

ამ ახალ ბინაში ჩვენ კარგად მოვაწყვეთ ლენინის და სამხედრო კუთხეები. სოფლის სამკითხველომ გადმოიტანა ჩვენთან მოძრავი ბიბლიოთეკა. კუთხეში ჩვენ ამ ჟამად საკმაოდ გვაქვს წიგნები, გაზეთებიც სისტემატიურად მოგვდის.

მუშაობასთან ერთად ჩვენს წერტს აქვს ერთი ნაკლი, რაც ძლიერ აფერხებს ჩვენს საქმიანობას. არა გვაქვს გათბობა. საჭიროა ამ გარემოებას დროზე მიექცეს ყურადღება და დაგვიდგან ერთი ღუმელი.

წვევამ. გ— ნული

## ᲬᲕᲔᲕᲐᲛᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ.

მე-6 ლეგ. მე-4 ასეული.

ლეგიონის წვევამდელები 13 დეკემბერს წაგვიყვანეს მეთაურთა სკოლაში კურსანტებისა და მათი ცხოვრების გასაცნობათ. ექსკურსიის ინიციატორები იყვნენ ჩვენი მეთაურები ამხ. ამხ. კობახიძე და ქლივიძე. თან გვახლდა სამხედრო ორკესტრი. სკოლაში დიდი ამბით დაგვიხვდენ კურსანტები, რომელთა სახელით მოგვესალმა ამხ. ნიკოლაიშვილი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ დაგვყვეს ჯგუფებად და დაგვაროვნიეს სკოლის მთელი ლაბორატორიები, კლუბი, სამკითხველო, სასადილო, სამზარეულო და სხვა, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე.

კურსანტები დაწვრილებით გვიხსნიდენ და გვაცნობდენ ყველაფერს.

დიდი ნასიამოვნები დავბრუნდით სკოლიდან, რისთვისაც მადლობის ღირსი არიან ჩვენი მეთაურები.

კარგი იქნება ხშირად მოგვიწყობდენ ასეთ ექსკურსიებს და მომავალ წითელ არმიელებს დაწვრილებით გაგვაცნობდენ ჩვენი წითელი ნაწილების ცხოვრებას.

წვევამდელი ს. აბზიანიძე.

# ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲧᲐᲖᲐᲠᲛᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

## 1905 Წ. 20 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠᲢᲚᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ.

19 დეკემბერს სრულიად გადახალისებული ლენინის კუთხეებით შეხვდა ჩვენი ლეგიონი. ყაზარმები, სამკითხველო და კლუბი საზეიმოთ იყვნენ მორთული. დილიდანვე დაიწყო არმიელებთან 1905 წ. რევოლიუციიდან მოგონებების კითხვა. საღამოს კი ლეგიონის კლუბში გაიმართა საზეიმო საღამო.

მთელი ლეგიონი თავშეყრილი იყო დარბაზში. ზეიმი გახსნა ლეგ. სამხკომმა დემეტრაშვილმა, რომელიც შეეხო თავის სიტყვაში 1905 წ. მოძრაობის მთავარ მომენტებს და მის გმირებს.

შემდეგ თავისი მოგონებებით გამოვიდენ მხცოვანი რევოლიუციონერები ამხ. ამხ. სილიბისტრო თოდრია და ი. ხარაბაძე. ორატორებმა უამბეს წ. არმიელებს თუ როგორ ბრძოლას აწარმოებდა მუშათა კლასი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომელშიდაც თვითონ პირადათ მიუღიათ აქტიური მონაწილეობა. ბევრი მწარე გაკვეთილები, ბევრი ტანჯვა წვალება და კაზაკების „ნაგაიკები“ უგემიათ თავგანწირულ მუშებს, მაგრამ მაინც არ შემდრკალა მათი გული და ტერორს სასტიკი ტერორით უპასუხებდენ. მოგონებებმა ძლიერ დააინტერესა წითელარმიელები და დიდი ოვაციები გაუმართეს მოხსენებლებს.

დასასრულ კრებამ უსურვა ძვირფას სტუმრებს ხანგრძლივი სიცოცხლე. კრებამ იმღერა ინტერნაციონალი, რის შემდეგ დაიდგა ირეთელის პიესა „დამარცხებულნი“, რაც დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული.

სამხკორი ნიჟარაძე.

## 1905 ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲡᲐᲒᲐᲣᲑᲘᲪᲝ ᲑᲐᲢᲐᲠᲔᲘᲐᲨᲘ.

ბატარეაში წინასწარ იქნენ გამოყოფილი რამოდენიმე ამხანაგი, რომლებსაც დაევალათ აღნიშნულ დღესასწაულისათვის სამზადისის წარმოება ნაწილში.

გადახალისებული იქნა ლენკუთხეები, მოირთო სათანადო ლოზუნგებით და წინასწარ სწარმოებდა კუთხეებში საუბრები ამ მოძრაობაზე.

19 დეკემბერს კი ვრცელი მოხსენება გააკეთა პოლიტხელმა ხუჭუამ. მოხსენება ძლიერ საინტერესო იყო.

20 დეკემბერს კი ჩვენი ბატარეა დაიყო ჯგუფებად და გავემგზავრეთ სხვა და სხვა ლეგიონებში, სადაც მიპატიჟებული ვიყავით მუშათა ორგანიზაციებთან ერთად დღესასწაულის ჩასატარებლად.

მოხსენებების შემდეგ გამომუშავებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიდაც წითელარმიელებმა მუშებთან ერთად დასდვეს ფიცი, რომ მთელ ძალღონეს შევსწირავთ მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

წ. არმ. გ. ბარათაშვილი.

## 1-ᲚᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲢᲧᲐᲕᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲗᲐᲜ.

19 დეკემბერს 1905 წ. რევოლიუციის 20 წლის თავის აღსანიშნავად ჩვენი ლეგიონის წითელ არმიელები გაემგზავრნენ მუშების კლუბში. პირ. ტყავტრესტის მუშებთან. საზეიმო კრება გაიხსნა ამავე მოხსენებით გამოვიდა რუსულად ახალგაზრდა მუშა, შემდეგ სომეხი მუშა, რომელიც შეეხო განსაკუთრებით თუ როგორ გადაჰკიდა ერთმანეთს მეფის მთავრობამ სომხები და რუსები.

საერთოდ მთელი რიგი მომხსენებელ ამხანაგებისა დაწვრილებით შეეხნენ ამ დიდი მოძრაობის ცალკე მომენტებს და ბევრი რამ საყურადღებო ფაქტები იქნა გახსენებული.

დასასრულ გამოვიდა ერთი ჭაღარა მუშა. ის შეეხო ამ წლებში თბილისში მომხდარ ფაქტებს, თბილისის პროლეტარიატის თავგანწირულ ბრძოლას და როგორ მონაწილეობას ღებულობდა თვითონ რევოლიუციონურ გამოსვლებში. მოიხსენია ყველა დაღუპული ამხანაგები და სხვა.

საზეიმო კრება ძლიერ შინაარსიანად ჩატარდა.

სამხკორი ბ. თათულოვი.

## ᲐᲮᲐᲚᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ.

1-ლი ლეგ. 4-ხე ასეული.

კარგა ხანია, რაც ჩვენს ლეგიონს ესტუმრენ ახალწვეულები. მოსვლისთანავე ამხანაგები დიდი ხალისით შეუდგენ ნაწილში ყოველგვარ საქმიანობას. ვერ ნახავთ ერთ მათგანს, რომ გულმოდგინეთ და განსაკუთრებული გულისყურით არ ეკიდებოდეს ყოველგვარი ცოდნის შეძენას.

ლენკუთხეში ყოველ საღამოობით იმართება ხმა მაღალი კითხვა, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ოცეულის მეთაური ამხ. მაჭარაძე.

ხმამაღალი კითხვა და საუბრები ამ ჟამად სწარმოებს უმთავრესად 1905 წ. რევოლიუციის შესახებ. ვიხილავთ როგორც მხატვრულ ლიტერატურას ისე ამ მოძრაობის ნამდვილ ისტორიას, რომელიც მეტად აინტერესებს ამხანაგებს.

სამხკორი ბ. თათულოვი.

## ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘ.

2-ე ლეგიონი.

მეორე ლეგიონში არსებობს სამხედრო სამეცნიერო წრე, რომელსაც აქვს თავის წესდება და რომლითაც მოხსენებები ქართულად უნდა იკითხებოდეს წრეში, რადგან წევრების უმეტესობისათვის რუსული გაუგებარია.

პირველი ლექცია წრეში შესდგა 14 დეკემბერს, მაგრამ სამწუხაროდ რუსულად. თემა საინტერესო იყო: „ტყვიამფრქვევით სროლა დახურულ პოზიციაზე“.

კრებამ მოითხოვა მოხსენება ქართულად წაკითხულიყო, მაგრამ თავმჯდომარემ ამას ყურადღება არ მიაქცია, რამაც ის შედეგი მოიტანა, რომ ლექციის დამთავრების შემდეგ, არა თუ სიტყვით გამოვიდა ვინმე, შეკითხვების მიცემაც კი ვერ მოახერხეს. ეს იმიტომ, რომ კრების 70 პროც.-სათვის გაუგებარი იყო რუსული.

წრის ნაყოფიერად მუშაობისათვის აუცილებლად დაცული იქნეს წესდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, წრე ვერ იარსებებს.

სამხკორი ვ—ძე.

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ ᲓᲐ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑᲗ.

პოლიტსკოლა.

ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ გამოცოცხლდა ჩვენი სკოლა. გაცხოველდა ჩვენი მუშაობა. მეცადინეობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ლექტორების შტატი შევსებული იქნა, რომლებიც სათანადო ხელმძღვანელობას გვიწევენ.

ამ ჟამად კურსანტების მთელი ყურადღება მიპყრობილი აქვს პარტპოლიტსაგანმანათლებლო საგნებს. შესწავლის დროს მეტნაწილად ვაწარმოებთ პრაქტიკულ ვარჯიშობას, როგორც ჯგუფური დავალებებით, ისე ინდივიდუალურად, რამაც მოლოდინზე მეტი ნაყოფი გამოიღო.

შესწავლილი იქნა ყველა ის ხერხები და საშუალებანი, რომლებიც საჭირონი არიან პოლიტიკური ხელმძღვანელებისთვის ჯარში სამუშაოდ.

კარგი იქნება ასეთი მეთოდით მიუდგებოდენ სკოლაში დანარჩენი საგნების შესწავლის საქმესაც.

ამასთანავე საჭიროა პედაგოგიური საბჭო სათანადო ყურადღებას მიაქცევდეს მომავალი წლის დასაწყისიდან საკლუბო მუშაობას, რადგან ჩვენთვის, ნაწილებში მუშაობის დროს, ესეც აუცილებელი იქნება.

სამხკორი ხეთა.

## ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ცენტრალურ კლუბში.

პარასკევს დეკემბრის 18 დივიზიის ცენტრალურ კლუბში გაიმართა საღამო-წარმოდგენა წითელ-არმიელთათვის.

წარმოდგენას დაესწრნენ 1 და 2 დივიზიების ყველა ნაწილები დარბაზი ვერ იტევდა ხალხს.

დაიდგა ბალანჩივაძის სამმოქმედებიანი რევოლიუციონური კომედია „გლეხი ივლიანე გობეჩია“. კომედია ლამაზად არის დაწერილი, აღებულია ჩვენი სინამდვილიდან და დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე.

სასურველი იქნება, რომ იგი შეტანილი იქნეს ჩვენი დრამწრეების რეპერტუარში.

თვით დადგმა და შესრულება კომედიის კარგი იყო. მსახიობები თამაშობდნენ დაკვირვებით. მონაწილეობდნენ დამსახურებული მსახიობი ვ. გამყრელიძე, თვით ავტორი ბალანჩივაძე, რონელი, ძიგრაშვილი, აბკარა და სხვა.

მიუხედავად იმისა რომ ბევრმა წ. არმიელებმა დაესწრნენ წარმოდგენას წესრიგი მაინც კარგი იყო.

ცენტრალურ კლუბში დროგამოშვებით გაიმართება წარმოდგენები წითელ-არმიელთათვის სანგანათლების და არმიის და ფლოტის სახლთან არსებულ ქართულ დასების მიერ.

ი—ა.

## ᲣᲪᲮᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ

**სტაბილიზაცია**—დროებითი გამაგრება, განმტკიცება.
**იმპერიალისტური სახელმწიფო**—რომელიც მსოფლიო ბაზრებზე გაბატონების მიზნით მართავს დაპყრობით ომებს.
**კრეისერი**—სამხედრო სწრაფმავალი გემი.
**კამპანია**—რაიმე საზოგადოებრივი საქმის მოწყობა და ჩატარება.
**ოპოზიცია**—მთავრობის მოწინააღმდეგე პარტიები.
**ლიტერატურა**—ბეჭვდითი ნაწარმოები, წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.
**დემონსტრაცია**—ქუჩაში დარაზმული გამოსვლით მოთხოვნილების გამოხატვა.
**ეკონომიკა**—საზოგადოებრივი ცხოვრების სამეურნეო მხარე.
**პოლიტიკა**—მთავრობის, ან პარტიების საზოგადოებრივი მოქმედების ხაზი.

## ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

### ᲡᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲗᲐ ᲙᲣᲗᲮᲔ.

ამ უკანასკნელ ხანებში სამხკორთა პოლიტ-აღმზრდელობით მუშაობას უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული. ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს სამხკორთა წრეებში, რომელიც აუცილებლად უნდა მოეწყოს ყველა ნაწილში.

ჩვენს ნაწილებში დღემდე ამ წრეების მუშაობაში არის მრავალი დეფექტები, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს ახლო მომავალში.

ამ ჟამად ბევრ ნაწილში სამხკორთა წრე არსებობს დამოუკიდებლად. ამას გარდა სამხკორთა ცალკე წრე არსებობს კედლის გაზეთთან, განსაკუთრებით კედლის გაზეთის სამხკორებისათვის: ამ ორ წრეს არავითარი კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან. არავითარი კავშირი არ არსებობს აგრეთვე კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიასა და სამხკორთა წრეს შორის. ასეთი არასასურველი მდგომარეობა მომავალში გამოსწორებულ უნდა იქნას.

სამხკორთა წრეები ნაწილებში უნდა მოეწყოს კედლის გაზეთებთან, რომლებსაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებმა. უკანასკნელებმა კი თავიანთი მუშაობის გეგმები სამხკორთა წრეებში გასატარებლად უნდა შეუთანხმონ ნაწილის პარტორგანიზაციებს.

მომავალში ადგ. კედლის გაზეთებისა და სხვა ცენტრალური გაზეთების სამხკორთა წრეები უნდა ჩამოყალიბდეს ერთად და არა ცალ-ცალკე.

**მი.**

## ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲩᲐᲕᲔᲬᲔᲠᲔᲗ ᲬᲔᲠᲙᲣᲛᲡᲨᲘ.

მე-3 ლეგ. ბატარეა.

ლეგიონის ბატარეის უფ-პოლიტ და წითელ არმიელთა შემადგენლობის საერთო კრებაზე, წერა-კითხვის უცოდინარობის მომსპობ საზოგადოებისა მიზნებისა და მოღვაწეობის გაცნობის შემდეგ ბატარეის შემადგენლობამ ერთხმად ჩაეწერონ საზოგადოების წევრებად და მთელი თავისი, ენერგიით ხელი შეუწყონ საზოგადოების მუშაობას.

ბატარეის შემადგენლობა კარგად გრძნობს თუ რა დიდი საქმე გაკეთდება ამით ჩვენი ხალხის გამოფხიზლებისათვის და მოუწოდებს ყველა ქართულ ნაწილებს ერთხმად გამოეხმაურონ მათ მაგალითს და გახდენ წერკუმსის წევრები.

**სამხკორი მხედარი.**

## ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

**— სკოლის ასაგებათ.** სენაკის მაზრის სოფ. ხორშის გლეხები უკვე შეუდგენ მასალის შეგროვებას ადგილობრივი სკოლის ასაგებათ.

**— სოფ. ზემო ჭალადიდში** (სენ. მ.) გაიხსნა აფთიაქი.

**— რძის ნაწარმოებთა ქარხანა.** ბორჩალოს მაზრაში სოფ. აშაღა სერალში უკვე ამუშავეს რძის ნაწარმოებთა დამამზადებელი ქარხანა.

**— ბანკი თელავში.** თელავის აღმასკომმა დაადგინა იმუამდგომლოს თელავში კომუნალური ბანკის განყოფილების გახსნის დასაჩქარებლად.

**— სამხ. წერტების მოწყობა.** დუშეთის აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ შეიძინა მიწები სამხ. წერტებისათვის.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

**— საქართველოს ავიაქიმის** საზოგადოებაში ამ ჟამად ითვლება 43 ათასი წევრი.

**— სახ.-სამეურნეო გადასახადი** დღემდე ტფილისში მოგროვილია სულ 90 ათას მანეთამდე.

**— სოც. უზრუნველყოფის** კომისარიატების წარმომადგენელთა ამიერ-კავკასიის ყრილობა მოწვეულია ტფილისში იანვრის შუა რიცხვებში.

**— ტყის დარაჯებს** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა მოუმატა ჯამაგირები.

**— ტფილისის მაზრაში** ამ ჟამად არსებობს 17 სათემო და 56 სასოფლო საბჭო:

**— აბრეშუმის მოსავალი.** წელს მთელ საქართველოში მოვიდა 130.000 ფუთი აბრეშუმის პარკი.

**— ბოტანიკური ბაღის მოსარწყავად** მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატმა უკვე დაიწყო წინასწარი მუშაობა. ბაღი მორწყული იქნება ზაჰესის ენერგიის საშუალებით.

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲑᲨᲘ

### ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ.

6-სე პოლკის ახალწვეულებმა ხელთ იგდეს ყაზარმები. რამოდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ ისინი იძულებული შეიქნენ დაეყარათ იარაღი. ჯარისკაცებს საშინლად სჯიან.

ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში ლიტვის 6-სე ფეხოსან პოლკში მოხდა ახალწვეულ ჯარისკაცების აჯანყება. ეს ამბები დატრიალდა შემდეგნაირად.

6-სე პოლკმა მიიღო რევოლიუციონურად განწყობილი შევსება. ერთი ოფიცერი რაღაც აუხირდა ერთ ერთ ჯარისკაცს და გაარტყა. ჯარისკაცმა იქვე ხიშტით მოჰკლა ოფიცერი. შეურაცყოფილი ჯარისკაცის გაბედულმა მოქმედებამ, ძლიერ იმოქმედა ჯარისკაცების მთელ მასაზედ. მან(ჯარისკაცების მასამ) გადასწყვიტა გამოსულიყვნენ ოფიცრების წინააღმდეგ. პოლკის ყაზარმები სწრაფად იქნა ხელში ჩაგდებული. აჯანყებულებმა იწყეს გამაგრება.

უფროსთა შემადგენლობამ დაინახა რა, რომ მღელვარებამ სერიოზული სახე მიიღო, 6-სე პოლკის ყაზარმებს მიაყენეს საიმედო ნაწილები, რომელთა ჯარისკაცებს გამოუცხადეს, რომ 6 სე პოლკის „ახალწვეულები“ მოღალატე და გამცემლები, არიანო. აჯანყებულებსა და მთავრობის ერთგულ ჯარებს შორის ბრძოლა გაგრძელდა რამოდენიმე საათი. ახალწვეულებმა არაჩვეულებრივი მამაცობა გამოიჩინეს, რომლებიც გაბედულად აწყდ. მოებდენ გარემორტყმული ჯარების წინააღმდეგ სროლას.

ბრძოლა იყო უსწორო და ახალწვეულები ბოლოს იძულებული შეიქნენ დაეყარათ იარაღი.

მთავრობის ჯარებმა დაჭრეს 18 კაცი და მრავალი დაჭრილები.

აჯანყებულ ჯარისკაცების შესახებ სხვა ცნობები არ არის, უნდა ვიფიქროთ, რომ აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდებიან. ლიტვის დამწყნარებლების საქმიანობა ყველასათვის არის ცნობილი. ისინი არ დაერიდებიან უკიდურესად მხეცურ ზომებსაც კი რევოლიუციონურ განწყობილ ჯარის კაცების წინააღმდეგ.

**თვითმკვლელობას ჩეხო-სლოვიის არმიაში.**

ჩეხო-სლოვიის არმიის ერთერთ ბატარეის უნტერ-ოფიცერს ჩხუბი მოუვიდა ერთერთ ამხანაგთან. ოფიცერმა ვერ მოითმინა და თავი მოიკლა.

ჩეხო სლოვიის სხვადასხვა სახის სამხედრო ნაწილებს შორის დიდი მტრობა არსებობს და ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ თვითმკვლელობის შემთხვევები იქ ძლიერ ხშირია.

## ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

**წყალზე და ხმელეთზე მოსიარულე გემები.**

მომავალი გაზაფხულისთვის საფრანგეთისა და ნორვეგიის ექსპედიცია აპირებს დედამიწის ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გამგზავრებას. ექსპედიციას მეთაურობენ ცნობილი მოგზაური ფრანგი ლეიტენანტი მალესი და ნორვეგიელი ჩრდილოეთ პოლიუსის კარგად მცოდნე სვერდრუპი.

სვერდრუპი სხვათაშორის ამ ექსპედიციის დროს სარგებლობთ თავისი ახალი გამოგონებით, რომლის შესახებ ცნობები საიდუმლოებით არის მოცული. ცნობილია მხოლოდ, რომ ნორვეგიაში სვერდრუპის პროექტით აგებს ექვსი წყალზე და ხმელეთზე გამოსაყენებელი გემები, რომელთაც შეეძლებათ წყალზე ცურვა, ხმელეთზე მოძრაობა, ყინულებზე ცურვა და ყინულის მთებზე ასვლა.

ექსპედიცია ფიქრობს თავის გამგზავრებას კუნძულ შპიცბერგენიდან აპრილის პირველ რიცხვებში. ექსპედიციისა ხარჯებისათვის საჭირო თანხა გაიღო საფრანგეთის საზღვაო და გაზეთების სამინისტროებმა. ექსპედიცია ფიქრობს დაჰყოს პოლიუსზე 10—12 დღე.

**უმაღლესი რადიო-ტელეგრაფის სადგური.**

გერმანიაში აგეს უმაღლესი რადიო-ტელეგრაფის სადგური. ანტენის სიმაღლე აღწევს 285 მეტრამდე. მსოფლიოში არსებულ ყველა რადიო სადგურებზე უდიდესია ეს სადგური. სადგურის ფუძე წარმოადგენს სამ ფეხს. თითოეული მათგანი იკავებს 600 ტონის სიმძიმეს. შეუძლიათ კი დაიკავონ 1200 ტონი. (ტონში 61 ფუთია).

230 მეტრის სიმაღლეზე დედამიწიდან მოთავსებულია პლატფორმა სამანქანო განყოფილებით. ამ კოშკის მწვერვალამდე არის 1000 კიბის საფეხური და მიჩვეული კაცისათვის კოშკის მწვერვალზე ასასვლელად საჭიროა ნახევარი საათი დრო.

## ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ.

**წ. ა. ნიველიძს.** თუ ადგილობრივი ხელისუფლება არ ასრულებს უმაღლეს ორგანოების დადგენილებას წითელ არმიელთა ოჯახების მიმართ, მაშინ უნდა მიმართოთ სამხედრო პროკურორს.

**თ. ქავ—ძე.** მიმართეთ უშუალო უფროსს და გადაგიყვანენ ცალკე საკავშირო ასეულში.

**შ. ტოროძეს.** ცვალებად შემადგენლობიდან კადრში გადასვლა შეიძლება, მხოლოდ ამ ჟამად თავისუფალი ადგილი არ არის.

**წ. არ. 6—რს.** თანახმად ბრძანებისა საშუალო სასწავლებელ დამთავრებულნი უსათუოდ უნდა იქნენ დაშვებულნი საშუალო მეთაურის გამოცდებზე; ნაწილმა მათ ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს. როცა გამომცდელი კომისია შესდგება, ამის შესახებ თავის დროზე იქნება ბრძანება დივიზიისადმი.

**წ. არ. გე—მიას.** საჰაერო ფლოტის სკოლაში მიიღებიან მეორე საფეხურის სკოლა დამთავრებულნი. ამის შესახებ გაზაფხულზე უნდა აღძრათ შუამდგომლობა თქვენი უფროსის საშუალებით.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

**ამხ. ხარებაშვილს** (1-ლი ლეგ.) თქვენი წერილი მეთაურების შესახებ წვრილმანია. არ დაიბეჭდება.

**ამხ. პეტრიაშვილს** ლექსი „დეზერტირებზე“ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. წით. არმიელს** (5-თე ლეგ.) თქვენი წერილი გადაეცა პოლიტგანყოფილების უფროსს.

**ამხ. ცოცხს** (3-მე ლეგ.) წერილი მკერავის შესახებ უმნიშვნელოა არ დაიბეჭდება.

**ამხ. ხევლს** (არტლეგიონი) წერილი ახალწვეულების შესახებ არ გამოდგა. მოიწერეთ სხვაზე.

**ამხ. ლუხუტისპირელს** (მეთაურთა სკოლა) კორესპონდენცია პარტიული ცხოვრების შესახებ უმნიშვნელოა. არსებითად არაფერია შიგ ნათქვამი თუ რა გაკეთებულა. აღნუსხეთ კონკრეტიულად უჯრედის საქმიანობის შესახებ.

## ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ?

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის მე-4 ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხ. ამხ. ოჩიგაველიძე პანტელეიმონ ელიზბარის-ძეს (ოზურგეთში მცხოვრები) და თურქაძე ვალერიან ამირანის ძეს (შორაპ. მაზრის მცხოვრები). თუ ვინმემ რაიმე საწინააღმდეგო იცის აღნიშნულ პირებზე, გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ერთი კვირის განმავლობაში პირველი ლეგიონის კომუჯრედში.

## Გ Ა Ნ Ც Ხ Ა Დ Ე Ბ Ა

**ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, 22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ** ამავე სახლის ქართულ სექციის დასის მიერ ქართულ ენაზე დაიდგმება პიესა „1905 წელი“ ტფილისის გარნიზონის წითელ არმიელთათვის 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის აღსანიშნავათ; ნაჩვენები იქნება აგრეთვე კინოსურათი რევოლ. მოძრაობიდან.

## ᲠᲐ ᲦᲘᲠᲡ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის

ნ. დ. ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ № 3.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე